



საქართველო. ახმეტის მუნიციპალიტეტის ს ა კ რ ე ბ უ ლ ო



KA000010804825620

0900 ქ. ახმეტა ჩოლოვაშვილის ქ N49 Tel: +995 349 22 22 99; +995 349 22 15 46
ელ-ფოსტა: akhmeta.sakrebulo@gmail.com

№ 15

01 / აპრილი / 2020 წ.

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა


ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რეგისტრირებული, სოფელ ალავერდში მდებარე სამი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (სახნავი) მიწის ალავერდის ეპარქისათვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე თანხმობის მიცემისა და საიჯარო ქირის საწყისი წლიური საფასურის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ა.“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.“ ქვეპუნქტის, მე-4 პუნქტის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 08.12.2014 წლის N669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 51-ე, 52-ე, 53-ე, 54-ე მუხლების შესაბამისად ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა ნ ე ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, განახორციელოს სოფელ ალავერდში მდებარე სამი ერთეული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 50.12.36.583 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 4067კვ.მ; 50.12.35.314 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 8903კვ.მ და 50.12.36.332 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 9122კვ.მ მიწის ფართის ალავერდის ეპარქისთვის პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით გადაცემა.
2. დამტკიცდეს პირდაპირი განკარგვის წესით გასაცემი მიწების სარგებლობის უფლებით გაცემის წლიური ქირის საფასური შემდეგი სახით:
 - ა) 50.12.36.583 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 4067.0კვ.მ მიწის წლიური ქირის საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5% ის ოდენობით -167.0(ას სამოცდა შვიდი)ლარი.
 - ბ) 50.12.35.314 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 8903.0კვ.მ მიწის წლიური ქირის საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%- ის ოდენობით -.0(სამას სამოცდათვრამეტი)ლარი.
 - გ) 50.12.36.332 საკადასტრო კოდზე რეგისტრირებული 9122.0კვ.მ მიწის წლიური ქირის საფასური, საწყისი საპრივატიზებო საფასურის 5%- ის ოდენობით -383.0(სამას ოთხმოცდასამი)ლარი.
3. სარგებლობის უფლებით გადაცემის ვადა 10(ათი) წელი.
4. განკარგულება გადაეგზავნოს ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას, აგრეთვე გამოქვეყნდეს საკრებულოს საინფორმაციო დაფაზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 56-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული წესით და ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.
5. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, თელავის რაიონულ სასამართლოში (ქ.თელავი, აღმაშენებლის ქ.N41)

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე

ხელმოწერილია/
შტამგდასმულია
ელექტრონულად 

თამარ ყვინიშვილი